ახალი

გაზეთიადი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძველეს გული,,

2020 წელი 29 ივნისი № 6 № 8159

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com



გილოცავთ პეტრე-პავლობას!

ლამისყანის სასოფლო ამბულატორია გვ2.

თელიანში მეფრინველეობის ფერმა სრული დატვირთვით ფუნქციონირებს გვ2.

გასარწყავება 25 წლის შემდეგ გვ2.

ზურაბ მუზაშვილის ხსოვნა გვ2

სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის მშენებლობა გვ3.

სოფელ იგოეთში ახალი საბავშვო ბაღი შენდება გვ3.

საზოგადოებრივი აქტიურობის დრო და მონატრებული შეხვედრები გვ6.

ცოლიერსნცოლ გვნწყობვთვ თვეცებოლრებვნი ცვჯლრთვეოლოში გვ5.

ონლაინ რეჟიმი

სოფელ ჩანგილარში მისასვლელ გზაზე გვ3.

საგზაო ინფრასტრუქტურა გვ3.

დიალოგის ფორმატში გვ7.

უკეთესის მოლოდინში გვ8.

 გაზეთიადი

89-ე წელი თქვენთან ერთად!

89-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვკრეფავთ, ინახავთ რესურსებს ძალებსაც, ხანდაც ეს უფლებაც ყველაფერ ეჩვენება, ქმნიან ჩვენი ცხოვრების შეფასებ-ზიზღი მაცდენენ

...

გახლავთ ჩვენი მეოხეული!

თელიანში მეფრინველეობის ფერმა სრული დატვირთვით ფუნქციონირებს

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა სოფელ თელიანში მდებარე მეფრინველეობის ფერმა დაათვალიერა, საწარმოს წარმომადგენლებს შეხვდა და სამუშაო პროცესს გაეცნო.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თელიანში მდებარე მეფრინველეობის ფერმა სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. საწარმო „თელა" ქათმის ხორცით ამარაგებს ადგილობრივ ბაზარს და სრულად ფარავს „კარფურის" ქსელებს.

საწარმოს ხელმძღვანელების თქმით, მუშაობა სრული დატვირთვით მიმდინარეობს, პროდუქცია კი მაღალი ხარისხით გამოირჩევა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად ფერმას მუშაობა არ შეუწყვეტია და ამარაგებდა ბაზარს პროდუქციით.

მუშაობის პროცესში სრულადაა დაცული ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მიღებული უსაფრთხოების რეკომენდაციები. ფერმა შეღავათიანი აგროკრედიტის მოსარგებლეა და ჯამში 1,5 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

საწარმოში შექმნილ სამუშაო ადგილებზე ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული.

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ფერმის ტერიტორიაზე გაშენებული ვენახიც დაათვალიერა, სადაც ადგილობრივი ვაზის ჯიშებია გაშენებული.

ლამისყანის სასოფლო ამბულატორია

სოფელ ლამისყანის სასოფლო ამბულატორიაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა.

დასრულებული სამუშაოები დაათვალიერეს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილემ ელიზაბედ რუთმა და თავდაცვის ატაშემ საქართველოში პოლკოვნიკმა სტეფანი ბეგლიმ, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა და შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა ზურაბ ჯალაბაძემ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს ორი ქვეყნის პარტნიორობასა და თანამშრომლობაზე, შემდეგ კი სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

აღნიშნული ამბულატორიით ლამისყანის მოსახლეობის გარდა, სარგებლობს გამყოფი ხაზისპირა სოფელ ხვითის მოსახლეობაც.

ელიზაბედ რუთმა ამბულატორიას საჩუქრად ბავშვებისთვის განკუთვნილი წიგნები გადასცა.

სტუმრებმა დაათვალიერეს ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმი და გაეცნენ სოფლის ისტორიას.

ზურაბ მუზაშვილის ხსოვნა

სოფელ აღაიანში კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა, ომის ვეტერანებმა და სოფლის მოსახლეობამ 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიის დროს დაღუპულ მეხანძრე-მაშველის ზურაბ მუზაშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს. მათ სოფლის ცენტრში მდებარე მისი მემორიალი და საფლავი გვირგვინებით შეამკეს. მეხანძრე-მაშველის მემორიალს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლებიც ესტუმრნენ და ყოფილი თანამშრომელი გაიხსენეს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებას საკუთარი სიცოცხლე შესწირა. 13 ივნისს, როდესაც მდინარე ვერე კალაპოტიდან გადმოვიდა, უამრავ ადამიანს და მათ საცხოვრებელ სახლებს საშიშროება შეუქმნა, ზურაბი ღვარცოფს არ შეუშინდა და საკუთარი სიცოცხლის ფასად 7 ადამიანი გადაარჩინა. ზურაბ მუზაშვილი გარდაცვალების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა თავდადების მედლით დააჯილდოვა, ხოლო მისი სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა. ზურაბ მუზაშვილი საქართველოს გმირია.



დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გასარწყავება 25 წლის შემდეგ

შპს "საქართველოს მელიორაციამ", თეზი-ოკამის და დოეს-გრაკლის კასპის სერვისცენტრმა სოფელ ხვითის სატუმბი "სადგური-გ 1"-ის ფართო მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა.

კერძოდ, გარემონტდა სატუმბი სადგურის შენობა, დამონტაჟდა ახალი ტუმბო აგრეგატები, წყალშემკრები ჭები, მილ-ხიდები და მაგისტრალური არხი.

პარალელურად მიმდინარეობს ხვითის სატუმბი "სადგური გ2"-ის სარემონტო-წმენდითი სამუშაოები, რომელიც კიდევ მეტი ფართობის გასარწყავების საშუალებას იძლევა.

25 წელია სოფელ ხვითის სატუმბი სადგური არ მუშაობდა და შესაბამისად მოსახლეობაც წყლის გარეშე იყო დარჩენილი.

ზაფხულის ცხელი დღეების ქრონიკები იმედიან გაგრძელებას გვპირდება.

განთიადი

სოფელ იგოეთში ახალი საბავშვო ბაღი შენდება

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს.

სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტატანაშვილმა და მისმა მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა ადგილზე დაათვალიერეს.

საბავშვო ბაღი, რომელიც 50 აღსაზრდელზე შენდება, სრულად დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც სტანდარტითაა გათვალისწინებული, ასევე კეთილმოეწყობა საბავშვო ბაღის ეზო.

საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ხარისხი" ახორციელებს.

პროექტის სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მასზე 696 326 ლარი დაიხარჯება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს, მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს შპს "ოპტიმალგრუპ+" ახორციელებს.

სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის მშენებლობა

სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის მეორე ფლიგელის მშენებლობა კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა დაათვალიერა. შენობა 300 მოსწავლეზეა გათვლილი და თანამედროვე სტანდარტების დაცვით შენდება. არსებული სკოლის შენობას დაემატება 12 საკლასო ოთახი, კლას-კაბინეტები, დახურული სპორტული დარბაზი და ღია მინი სპორტული მოედანი, ცენტრალური გათბობა, ლიფტი, ასევე შემოიღობება და კეთილმოეწყობა სკოლის ტერიტორია.

საკლასო ოთახების უკმარისობის გამო სკოლაში სწავლება დღემდე ორ ცვლაში მიმდინარეობს, სამუშაოების დასრულების შემდეგ კი მოსწავლეები ერთ ცვლაში ისწავლიან.

სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება მუნიციპალიტეტში პრიორიტეტულია.

ახალი სკოლების მშენებლობა სოფელ კოდისწყაროში, წინარეხსა და ქვემო გომშიც მიმდინარეობს.

ხოვლის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოებს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ქართული სამშენებლო ჯგუფი" ახორციელებს.

მშენებლობაზე 3 030 000 ლარი იხარჯება - აღნიშნა ზაზა მარიდაშვილმა.

საგზაო ინფრასტრუქტურა

კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება სოფლების ყარაფილა-სარიბარი-ზადიანთკარის თბილისი-სენაკი-ლესელიძეს ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზების სრული რეაბილიტაციის ეტაპის სამუშაოები.

გზაზე ამჟამად რკინა-ბეტონის კიუვეტების მოწყობა და ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების წინამოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

გზის სიგრძე, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "იბოლია" ახორციელებს, 4 200 გრძივი მეტრია. სამუშაოების ღირებულება 2 550 000 ლარია და რეგიონალური განვითარების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

პროექტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ვინაიდან აღნიშნული სოფლები ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებია, ხოლო ზადიანთკარი მაღალმთიანიც. სამუშაოების დასრულების შემდეგ რეაბილიტირებული გზით ისარგებლებს 1000-ზე მეტი ბენეფიციარი - აღნიშნა სამუშაოების ადგილზე დათვალიერებისას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სოფელ ჩანგილარში მისასვლელ გზაზე

სოფელ ჩანგილარში მისასვლელ გზაზე შპს "საგზაო 7"-მა მეორე პირი ასფალტის დაგების სამუშაოები დაიწყო. ასფალტის დაგების დასრულების შემდეგ მოეწყობა ეზოში შესასვლელები, გზის მიერთებები, დაიხაზება და დაიდგმება საგზაო ნიშნები.

სამუშაოების ღირებულება 687 897 ლარია, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა 2 წელია.

სოფელ ჩანგილარის საავტომობილო გზა ადგილობრივი მნიშვნელობისაა და მისი სიგრძე 1220 გრძივი მეტრია. გზის მონაკვეთს ათეული წელი არ ჩატარებია რეაბილიტაცია, ამიტომ გადაადგილება უჭირდა როგორც სატრანსპორტო საშუალებებს, ისე ქვეითად მოსიარულეებს. კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებს სოფლის 700 მოსახლე.

გზის მოასფალტების სამუშაოების მიმდინარეობა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა დაათვალიერა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მათ თავმოციქულებად მოიხსენიებენ

მაშინ, როცა რელიგიური დღესასწაულები მხოლოდ ბებო-პაპათა აღნიშვნის საგანი იყო, ბებო ზაფხულის ცხელ დღეებში ამბობდა - ახლა მეთევზეების მარხვააო ... მახსოვს, ვიკითხე ეგენიც გმირები არიან თუ ჩვეულებრივი ადამიანები მეთქი? პასუხი დამავიწყდა, მაგრამ გახდა საბაბი ქრისტეს მოწაფეების პეტრესა და პავლეს გაცნობისა...

მხოლოდ მოწიფულ ასაკში შევიტყვე რომ ქრისტეს მოციქულთა შორის მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივს ორ მათგანს მიაგებს და მათ თავმოციქულებად მოიხსენიებს. რომელნიც იოანე ოქროპირის სიტყვით აღემატნენ ყოველგვარ ბუნებას მიწიერსა და ზეციურს. ისინი, ხორცში მყოფნი, აღემატნენ ანგელოსებს... პეტრე - დასაბამი მართლმადიდებლობისა, დიდებული მღვდელთმსახური ეკლესიისა... პავლე - ჭეშმარიტების ჩინებული მქადაგებელი, ქრისტეს ეკლესიის ფხიზელი მესაჭე.

წმ. მოციქული პეტრე, უფროსი ძმა ანდრია მოციქულისა, უფლის ხმობამდე გალილეის ტბასთან მდებარე პატარა ქალაქ ბეთსაიდის მეთევზე იყო.

სახელად ადრე სვიმონი ეწოდებოდა. შენ ხარ სვიმონ, ძე იონასი, შენ გეწოდოს კეფა, რომელი ითარგმანების: კლდე ასე უთხრა მას იესო ქრისტემ (იოანე 1.42).

რამდენიმე ხნის შემდეგ, ქრისტემ გალილეის ტბის ნაპირთან, კვლავ იხილა პეტრე და ანდრია, ისინი ბადეს აგდებდნენ ტბაში. "მოვედით და შემომიდექით მე და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა" (მათე 4.19) (კონდაკი 2) - ამ სიტყვებმა, რომლებიც უბრალო მეთევზეებისადმი იყვნენ მიმართულნი, გადაწყვიტეს მათი ბედი.

პეტრე, იესოს მხურვალედ მოყვარული, მაშინვე შეუდგა მას. მალე თვით უფალმა მოინახულა პეტრეს სახლი და მხურვალებისაგან განკურნა მისი სიდედრი (მარკოზი 1.29-31).

ჰქონდა რა უდიდესი რწმენა და ერთგულება, პეტრე, - ერთი მხოლოდ ქრისტეს მოწაფეთაგან - გაკადნიერდება სთხოვოს უფალს: უფალო... მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა. უფლის სიტყვისაებრ იგი ნავიდან წყალზე გადმოვიდა და როგორც ხმელეთზე ისე გაეშურა მისკენ. მაგრამ შეეჭვდა რა ღვთიურ შეწევნაში, დანთქმა იწყო. უფალო, მიხსენ მე! შესძახა პეტრემ. და ღვთიურმა მოძღვარმაც არ დაახანა, და კვლავ უკან, ნავში, აიყვანა (მათე 14.28-32) (იკოსი 3).

არა მარტო ქარბორბალასა და ქარისაგან იხსნა უფალმა, არამედ მცირედმორწმუნეობისგანაც, ეტყოდა რა მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი (ლუკა 22, 32) (კონდაკი 4).

თაბორის მთაზე პეტრე იაკობსა და იოანესთან ერთად გახდა მოწმე უფლის ღვთიური დიდებისა. დაინახა რა უფალი იესო ქრისტე ფერიცვალებით და ესმა ხმა მამალმერთისა "ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ", პეტრემ განიხარა და წამოიძახა "კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა" (მარკოზი 9.2-7) (იკოსი 5). ამაზე მოგონება მის ერთ-ერთ ეპისტოლეშია შემორჩენილი (2 პეტრე 1.17-19).

მოახლოვდა რა ჟამი მაცხოვრის მხსნელი ვნებებისა, იერუსალიმისაკენ მიმავალი დაეკითხა იგი თავის მოწაფეებს "თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?"

პეტრემ, მოციქულთა შორის პირველმა, სთქვა: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაი, რისთვისაც უფლისაგან უდიდესი შექება დაიმსახურა: ნეტარ ხარ შენ, სვიმონ ბარ იონა (იონა ქართულად მტრედს ნიშნავს, ბარ კი ძე-ს, ხოლო მტრედი სულიწმიდის სახეა, ანუ პეტრეს მადლმოსილების გამო სულიწმიდის ძე, შვილობილი უწოდა)...

"შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას" (მათე 16.15-18) (იკოსი 1.7). პეტრესეულმა აღმსარებლობამ თავისი გამოძახილი ჰპოვა მოციქულთა სადღესასწაულო საკითხავებში "ქრისტემან შენ პირველი გამოგაჩინა, პეტრე, და საფუძველად სარწმუნოებასა გვირგვინოსან-გყო შენ". საიდუმლო სერობის უწინარეს სიონის ქორედზე მაცხოვარმა ... მოიღო არდაგი და მოირტყა იგი... და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა. "უფალო, შენ დამბანა ფერხთა ჩემთა?" შეეწინააღმდეგა პეტრე. "უკუეთუ არა დაგბანნე შენ ფერხნი, არა გაქუნდეს შენ ნაწილი ჩემ თანა"- განუმარტა მას უფალმა. და მაშინ პეტრემ, შიშითა და სიყვარულით მოცულმა, შეჰღაღადა: "უფალო ნუ ხოლო ფერხნი ჩემნი, არამედ ხელნიცა და თავიცა ჩემი" (იოანე 13.3-9) (იკოსი 9).

მოწაფეთაგან მხოლოდ ერთი, პეტრე გამოექომაგა უფალს გეთსიმანიის ბაღში. ამოიხადა მახვილი და ერთ იქ მოსულთაგანს მოჰკვეთა ყური, მაგრამ მაცხოვარმა თვით თავისი სიკვდილის წინაც კი იზრუნა და განკურნა ყურმოჭრილი.

პეტრე გაჰყვა უფალს კაიაფა მღვდელთმთავრის სახლამდის, მასთან ერთად შევიდა ეზოში და იდგა იქ ცეცხლთან და თბებოდა. მაგრამ სამგზის უარჰყო თავისი ღვთიური მოძღვარი, როცა მასაც ხელს ადებდნენ, როგორც ქრისტეს მოწაფეს: "არა ვიცი კაცი ესე" (მარკოზი 14.71) და როდესაც მესამედ უარჰყოფდა დაინახა რომ უფალი უმზერდა მას და განვიდა გარე და ტიროდა მწარედ (ლუკა 22.62) (კონდაკი 10).

ერთ-ერთი წმინდა გადმოცემით, მას მერე ყოველთვის, როცა კი მოესმოდა მამლის ყივილი პეტრე თურმე მწარედ ატირდებოდა ხოლმე, მომგონებელი თავისი ამ შეცოდებისა, ისე რომ ხშირი ტირილისაგან თვალის უპესთან სისხლიანი ღარები გაუჩნდა. მაგრამ არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელსაც გულმოწყალე უფალი არ ჰპატიებდეს. პეტრეს სინანული იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ აღდგომის შემდეგ უფალი პირველს, მოწაფეთა შორის, პეტრეს ეჩვენა. სამჯერ დაეკითხა პეტრეს: "გიყუარ მეა?" და სამგზის მიიღო პასუხად: "ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ" (იოანე 21.15-16). იესო ქრისტემ აღადგინა იგი მოციქულის ღირსებაში, ანდო მას დასამწყსველად თავისი სიტყვიერნი ცხოვარნი (იკოსი 11). უფლის ამაღლების შემდგომ პეტრეს რჩევისაებრ ათორმეტ მოციქულთა შორის შეირაცხა მატათა (საქმე 1.15-26). ამის შემდეგ, სულთმოფენობისას, პეტრე პირველქრისტიანული თემის წინამძღოლი შეიქმნა.

მკვდრეთით აღმდგარი უფლის მგზნებარე სიყვარულით შთაგონებული მისი ქადაგება იმდენად ცხოველსმყოფელი ზემოქმედების იყო, რომ ათასობით ადამიანს მოაქცევდა ქრისტეს სარწმუნოებაში (საქმე 2.41; 4.4). საოცარი ნიშები ახლდა პეტრესეული აღმსარებლობის ქრისტესმიერ რწმენას. მკვდრები აღსდგებოდნენ (საქმე 9.40), მკელობელნი და განრღვეულნი განიკურნებოდნენ (საქმე 3.1-8; 9.32-34), დანაშაულში მხილებულნი სულს განუტევებდნენ (საქმე 5.5-10).

ცნობილია წმ. პეტრე მოციქულის ორი კათოლიკე ეპისტოლე (დაახლ. 63 და 67 წწ.). მეორე ეპისტოლეში წერს უწყი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატევება საყოფელისა ამის ჩემისა, ვითარცა - იგი უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან მაუწყა მე (2 პეტრე 1.14), ანუ უფლის სიტყვისაებრ წინასწარმეტყველებს თავის მოახლოებულ აღსასრულს.

იმპერატორ ნერონის ბრძანებით პეტრე მოციქული შეიპყრეს და განაჩენად ჯვარცმა გამოუტანეს. სთვლიდა რა უღირსად თავს მიეღო ისეთივე მოწამეობრივი სიკვდილი, როგორც მის მასწავლებელს, ჯალათებს სთხოვდა თავქვე ეცვათ ჯვარს, სურდა რა სიკვდილის დროსაც დაეხარა თავი უფლისთვის.

წმ. პავლეს მოციქულებრივ მსახურებამდე სახელად სავლე ერქვა, წარმოშობით ბენიამენის ტომიდან იყო. "მოშურნე ვიყავ ღმრთისათვის საკუთარ თავზე, - ვსდევნიდ ვიდრე სიკუდილამდე, შევჰკრებ და მივსცემდ საპყრობილედ მამათა და დედათა (საქმე 22.3-4). იგი იწონებდა მთავარდიაკონ სტეფანეს წამებას და მის ქვით ჩამქოლავთა სამოსელსაც კი სდარაჯობდა (საქმე 7.58). 34წ. მღვდელთმთავართა დავალებით იგი ქ. დამასკოში გაემგზავრა რათა იქ თავშეფარებული ქრისტიანები საწამებლად გადაეცა. გზაში ერთი მოვლენა შეემთხვა, რამაც ძირეულად შეცვალა სავლეს ბედი.

როდესაც იგი დამასკოს მიუახლოვდა, იგი ღვთიურმა ნათელმა მოიცვა. ყველა მისი მხლებელი მხედარი ცხენებიდან ქვე ჩამოვარდა, ხოლო სავლეს ესმა ხმა, რომელიც იტყოდა:

"საულ, საულ, რასა მდევნი მე? ფიცხელ არს შენდა წიხნა დეზისა. სავლე დაეკითხა: შენ ვინ ხარ, უფალო?

ხმამ უპასუხა: მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი. არამედ აღდეგ და დადეგ ფერხთა შენთა ზედა, რამეთუ ამისთვის გეჩვენე შენ, რათა დაგადგინო შენ მსახურად და მოწამედ, რომელი იხილე და რომელი გიჩუენო შენ" (საქმე 26.13-16).

სავლეს მხლებლებს ხმა ესმოდათ, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდნენ. ღვთიური ნათებისაგან სავლე დაბრმავდა და უფლის მითითებით გაეშურა დამასკოსაკენ, სადაც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი ანანია ცხოვრობდა. ამ უკანასკნელს კი გამოცხადებით ემცნო: "აღდეგ შენ ადრე და მივედ უბანსა მას, რომელსა ჰრქვიან მართალი, და მოიძიე ტაძართა მათ იუდასთა სავლე სახელით, ტარსელი" (საქმე 9.11). ანანიას მისთვის ხელი უნდა დაესხა და თვალი აეხილებოდა.

აღასრულა რა ბრძანებული სავლეს მყის აეხილა თვალი, ნათელიღო და ეწოდა სახელად პავლე.

მოიღო რა პავლემ უფლისაგან ბრძანება, ეხარებინა სასუფეველი, იწყო მქადაგებლობა იუდეველებსა და წარმართებში, მონებს შორის და თავისუფლებში, რისთვისაც თავს იდო ხანგრძლივი მოგზაურობები და წარგზავნიდა ეპისტოლეებს. პალესტინასა და მცირე აზიაში, საბერძნეთსა და იტალიაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე გაისმოდა მოციქულის მგზნებარე სიტყვა.

დაახლოებით 51წ. პავლე მონაწილეობდა მოციქულთა კრებაში იერუსალიმს. შეკრებილთ პავლემ ამცნო: "რავდენი ქმნა ღმერთმან ნიშები და სასწაულები წარმართთა შორის მათ მიერ" (საქმე 15.12). კრებამ გადაწყვეტილება მიიღო წარმართებისათვის არ დაეძალებინათ მოსეს სჯულის აღსრულება, ხოლო კეთილსა იქმოდეთ"-ო (საქმე 15.29).

თავის განუწყვეტელ ღვაწლში მრავალი ჭირთათმენა უწევდა წმ. პავლეს. ჰურიათაგან ხუთ გზის ორმეოცსა ერთი მოკლებული ცემა მოვიღე.

"სამგზის კუერთხითა ვიეც, ერთ გზის ქვითა განვიტვინე, სამგზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსკრულთა შინა დავყავ" (2 კორინთელთა 11.24-25) (იკოსი 10).

ფილიპპესა და მაკედონიაში ქადაგებისას შეიპყრეს და საპყრობილეში ჩააგდეს. მაგრამ ბორკილდადებულიც განაგრძობდა ლოცვასა და ღვთის დიდებას და შუაღამისას დიდი ძრვა იყო, კარნი განეხვნეს და ბორკილები დასცვივდა (საქმე 16.22-26) (იკოსი 8).

ათენში ქრისტეს ახარებდა "მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ" (საქმე 17.28). ამ ქადაგებამ არეოპაგში ახალმოქცეულები

დასასრული გვ-9.

ტოლერანტული გაბნეულობითა თვალსაზრისებანი საქართველოში

"ვეფხისტყაოსნის" ერთი მთავარი პერსონაჟი მეორეს სწერს, რომ თუ ადამიანი ბრძენია, იგი ვერ შეძლებს მოყვარე გაწიროს, მიუხედავად იმისა, უცხოა იგი თუ – არა. მანამდე ტექსტში გვხვდება ფრაზა, რომელიც გამოხატავს საამო გაკვირვებას გმირის უჩვეულო ხასიათის გამო: "უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?"

მოყვასის სიყვარული ადამიანის სიბრძნის ნიშანია.

ტოლერანტობა საქართველოში იმავე ასაკისაა, რამდენისაც სახელმწიფოებრიობა და იგი ათასწლეულებს ითვლის. არგონავტების მოგზაურობის შემდეგ გაჩენილი, ბერძენთა უძველესი ახალშენები საქართველოს ზღვისპირეთში, დევნილი ებრაელების ამოსვლა ოცდაექვსი საუკუნის წინათ და მათი დამკვიდრება – ეს ქართული ტოლერანტობის ისტორიის მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი მოვლენებია. ეს ისტორია ერების თანაარსებობის საუკეთესო მინიმოდელია, რადგან მასში შეუძლებელია იპოვოთ ქრონიკა ეროვნული ნიშნით ადამიანთა დევნის შესახებ – სისხლისღვრასა და გენოციდზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

პირიქით, იმ უძველეს ტერიტორიებზე, რომლებიც ოდითგან ეკუთვნოდათ, ხშირად, ქართველები თავად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე დევნილის მდგომარეობაში პარადოქსულ გარემოებათა გამო; ამის დასტურად თანამედროვე საქართველოში მოქმედი დე-ფაქტო სეპარატისტული რეჟიმები და დაპყრობილი ტერიტორიები არსებობს, რომლის შედეგადაც 400 000 – ზე მეტი ქართველი თავისსავე სამშობლოში ლტოლვილად იქცა.

ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთა მენტალიტეტი, ისტორიულად, ღრმად პატრიოტული, თუმცა, ამავე დროს, კოსმოპოლიტურია. ქართული სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი არასოდეს ყოფილა მის მიწაზე დასახლებულ უცხოტომელთა გაქართველება, მათი ასიმილაცია. ქართველისათვის სჯულის, ენის, ეროვნების დათმობა ყოველთვის მომაკვდინებელი იყო და, ამიტომ, იგი პატივისცემითა და რუდუნებით ეკიდებოდა სხვა ხალხების სურვილს, უცხო გარემოშიც შეენარჩუნებინათ ეროვნული ფასეულობანი.

თუმცა, ქართულ მიწას აღმოაჩნდა ერთი აუხსნელი და მისტიკური თვისება – უცხო ერის შვილებისათვის იგი სამშობლოდ იქცეოდა ხოლმე. მათ უჩნდებოდათ ტერიტორიული იდენტობის განცდა ამ ქვეყანაში. მიწის გათავისების, მისი საკუთარ სამშობლოდ ქცევის სურვილი ისე, რომ არ დაეთმოთ, არ დაეკარგათ ნაციონალური თვითშეგნება. ნოსტალგია ქართველების დაუძლეველი "ავადმყოფობაა", მაგრამ იგი ასეთივე "ავადმყოფობა" გახდა ამ მიწაზე დასახლებული უცხო ერებისათვის.

როცა ებრაული სახელმწიფო შეიქმნა და საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა დიდი ნაწილი უძველეს სამშობლოში გადასახლდა, მათთვის დიდ ფსიქოლოგიურ პრობლემად იქცა ქართულ მიწასთან საკუთარი იდენტობის დაძლევა. ათი ათასობით ებრაელი კი დღესაც ცხოვრობს საქართველოში.

ბუნებრივი თუ იძულებითი მიგრაციის შედეგად, საუკუნეთა მანძილზე აქ მეზობელი ქვეყნების ხალხებიც სახლდებოდნენ. მაგ.: რუსები, სომხები, ოსები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები, ასირიელები, იეზიდები. ზოგიერთი მათგანის ისტორიული სამშობლო ახლაც ერთი ხელის გაწვდენაზეა დამოუკიდებელი საქართველოდან.

XX საუკუნის 90-იანი წლების გაუსაძლის ეკონომიკურ სიდუხჭირეშიც კი, არ

განხორციელებულა მათი მასობრივი ემიგრაცია, რადგან ამ ხალხებს აქვთ საკუთარი სივრცე, ოღონდ სხვა სახელმწიფოში.

ქართველთა დემოკრატიული და ტოლერანტული ფსიქიკური წყობა ერებს აძლევს სრულ თავისუფლებასა და ეროვნულობის შეუზღუდავი განცდის საშუალებას. მთავარი და ღირსსაცნობარი ის გახლავთ, რომ, ყოველივე ეს ხდება არა მიზანმიმართულად, არა სახელმწიფო პოლიტიკის დაკვეთით, არამედ, თავისთავად, ბუნებრივად, ისევე ორგანულად და ძალდაუტანებლად, როგორც სტიქიური მოვლენები და სამყაროში არსებული სხვა კანონზომიერებანი. ასე, რომ ქართული ტოლერანტობა და კოსმოპოლიტიზმი თვითნაბადი, დაუმუშავებელი ფენომენია და მის ერთ-ერთ მთავარ თვისებას ქართველთა მიერ უცხოსადმი პატივისცემის, ხელშეუხებლობისა და მისთვის საჭირო ადგილის დათმობის იშვიათი უნარი წარმოადგენს. სხვა ერის შვილებთან ადამიანური იგივეობა, მსგავსება, ემპათია, არა გონებისა და ინტელექტის ნაყოფი, ან ცივილურ, ჰუმანურ ფასეულობათა განვითარების შედეგადაა გამომუშავებული, არამედ, მხოლოდ გრძნობისმიერი მოვლენაა.

ქართულ ენაში ეპითეტი, "უცხო", "საუცხოო" - საუკეთესოს, გამორჩეულის სინონიმია. ქართული კულტურა ყოველთვის გახსნილი, ღია საზოგადოების კულტურა გახლდათ. მისთვის ახლაც მიუღებელია ჩაკეტილი, კოლექტიური აზროვნებისათვის დამახასიათებელი, ქსენოფობიური ტენდენციები. იგი ინდივიდუალური, მიმღები, კეთილგანწყობილი შემწყნარებლური სივრცეა, ისე, რომ ყოველთვის ინარჩუნებს ხელშეუხებელ, ღრმად ეროვნულ ბირთვს, რადგან ამგვარი შემწყნარებლობა არამც და არამც არ თრგუნავს ეროვნული ფასეულობების სისტემას – პირიქით იგი სხვა ხალხების ენობრივ, ისტორიულ ცნობიერებას აღიარებს და მასთან დაუპირისპირებლად, უმტკივნეულოდ ვითარდება. იღებს და თავადაც გასცემს შემოქმედებით ენერგიას.

მრავალი ერი თავისთავადობის პრინციპით სახლობდა ქართულ მიწაზე – მაგ.: ოსები, რომლებიც საუკეთესო და ერთგული მეომრები იყვნენ ქართულ ჯარში. ყივჩაღები, რომლებიც ქართველთა დიდმა მეფემ დავით აღმაშენებელმა მუდმივი ჯარის შესაქმნელად ჩამოასახლა და საკუთარი ნებით გაქრისტიანდნენ. უდები ანუ უდინები, აწ დაკარგული ალბანეთის მკვიდრნი და კიდევ მრავალი სხვა. რაც შეეხება აფხაზებს, მათი ეროვნული ანტიიდენტობის საკითხის გაღვივება რუსული იმპერიალიზმის შოვინისტური პოლიტიკის შედეგია. საუკუნეების მანძილზე ქართველს აფხაზი ისეთივე ქართველად მიაჩნდა, როგორც საქართველოს სხვა კუთხის შვილები, მაგ: ლაზი, მეგრელი, სვანი, თუში და ა.შ. ამ კუთხეებსაც აქვთ თავიანთი ენა, რომელთა ძირი ერთიანი, პროტოქართული ენაა. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დღესაც თვლის რომ აფხაზები ქართველები არიან.

რუსეთის საიდუმლო სამსახურები ორი საუკუნის მანძილზე, ნაბიჯ-ნაბიჯ აღვივებდნენ სეპარატიზმს. მათ დათრგუნეს აფხაზების გენეტიკური, გრძნობისმიერი იდენტიფიკაცია და სწორედ ინტელექტზე შოვინისტურ – სეპარატისტული ზემოქმედებით, უძველეს ქართულ მიწაზე მცხოვრები აფხაზები, რომელთა უმეტესობას გვარებიც კი ქართული აქვთ, საკუთარი ძმების წინააღმდეგ განაწყვეს, რასაც შედეგად სისხლისმღვრელი ომი, ორმხრივი ხოცვა-ჟლეტა, ქართველთა გამოყრა საკუთარი მიწიდან და დე-ფაქტო რეჟიმი მოჰყვა.

დაახლოებით ამგვარი და უფრო უარესი სურათი გათამაშდა ოსებთან მიმართებაშიც, მაშინ, როცა გლობალური ანტიქართული განწყობა ამ ერს არა აქვს. 120 000 ოსი დღესაც ცხოვრობს ქართულ სახელმწიფოში (დაპყრობილ ტერიტორიებს აქეთ) და მშვიდობის აღდგენას მიელტვის სახელმწიფოში, სადაც მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრება ეროვნულობის დაკარგვისა და ასიმილაციისა.

მიუხედავად ქართველთა ქრისტიანული – ორთოდოქსული რწმენისა, სახელმწიფოს ქვეშევრდომად გახდომის მსურველთათვის, განსხვავებული ისტორიული კონტექსტების დროსაც კი, არასოდეს მოუთხოვიათ სჯულის შეცვლა.

ქართველი მეფეები, მათ შორის, შემდგომში წმინდანად შერაცხული დავით აღმაშენებელი, სხვა ერისა და რჯულის მოქალაქეთა პატივსაცემად ხშირად სტუმრობდნენ მეჩეთსა და სინაგოგას.

უცხოელი ისტორიკოსებიც გაკვირვებით შენიშნავენ, რომ ამ მიწაზე ეროვნული თუ რელიგიური კუთვნილების გამო, ძალადობის სურათი არ აღნუსხულა, მაშინაც კი, როცა მთელ მსოფლიოს გადაუვლიდა ხოლმე ანტისემიტიზმის პერიოდული ტალღა.

მსოფლიო ბესტსელერად ქცეული რომანის "ხაზარების ლექსიკონის" მკითხველს აოცებს ხაზარების ლამის უგონო შემწყნარებლობა; მათი სამეფო კარი, სადაც უცხოს უფრო დიდ პატივს მიაგებენ, ვიდრე – ხაზარს. ამგვარი რომანი ქართველების შესახებაც თუ დაიწერებოდა, ალბათ, ყველას გააკვირვებდა, რომ XVII საუკუნის ბოლოს საქართველოს დედაქალაქი თბილისი სრულიად არაქართველებით იყო დასახლებული და აქ ჩვიდმეტი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. მეიდანში ჩვიდმეტი თეატრი იყო და მათგან მხოლოდ ერთი მართავდა ქართულ წარმოდგენებს...

დღეს, როცა მსოფლიო გლობალიზაციის პროცესისათვის უმტკივნეულო და ლაბილურ გზებს არჩევს, ქართველებს ხშირად უკვირთ, რატომ ასწავლიან ევროპიდან და ამერიკიდან მოვლენილი ექსპერტები ეროვნულ თუ რელიგიურ შემწყნარებლობას. მათ ხომ ამისათვის საუკეთესო სახელმძღვანელო და მოდელი აქვთ – ისტორიული გამოცდილება და საკუთარი ტოლერანტული ხასიათი.

მ. ყიფშიძე.

საზოგადოებრივი აქტიურობის დრო და მონატრებული შეხვედრები

✦ ქალაქის კულტურის დაწესებულებების გაერთიანებების აქტივისტები და არა მხოლოდ ისინი /სოფლად თუ ქალაქად/ უსწრაფესად, ყოველგვარი მოწოდების გარეშე ჩაერთვნენ საყოველთაო მარათონში, რომელიც მიზნად ისახავდა გაჭირვებული, მიუსაფარი ოჯახების დახმარებას. ენთუზიასტი ახალგაზრდები, ქალაქში შექმნილ მოხალისეთა ჯგუფთან ერთად ყოველ დღე ასრულებდნენ საქველმოქმედო აქციების პროგრამით გათვალისწინებულ დავალებებს კოვიდის წინააღმდეგ.

✦ — ყველამ, დიდმა თუ პატარამ გააცნობიერა, რომ დადგა საზოგადოებრივი აქტიურობის დრო, საჭიროა ერთმანეთის გვერდით დგომა, მხარდაჭერა, ამიტომაც ერთი დღე არ გაჩერებულა ჩვენი უწყება, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, — სწორედ იმ სადაგ დღეებში ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული დავალება გახლდათ გაჭირვებული ოჯახების დახმარება, უფასო სასადილოს ბენეფიციარებისათვის ბინაზე საკვების მიტანა. არადა, კულტურის სექტორი, ეს სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, სულ სხვა საქმით უნდა ყოფილიყო დაკავებული. კარგად მოგეხსენებათ, რომ კულტურა, როგორც ფენომენი ყოველდღიურად ასულდგმულებს, ამდიდრებს, ძალას მატებს და მოტივირებულს ხდის ადამიანის სულიერებას.

მართლაცდა, რა ძალუმად იქონია გავლენა ქალაქის ყოფაზე კულტურული აქტივობებისა და ღონისძიებების შეჩერებამ, ვინ იფიქრებდა, ალბათ, წარმოდგენაც კი გაჭირდება, თუ შარშანდელ, თუნდაც იმის წინანდელ შესაბამის პერიოდს დღევანდელ ასპექტში გავიხსენებდით...

რა ხდებოდა მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროში, როგორ ვიხსენებთ ერთი წლისწინანდელ დროს და როგორ მოხერხდა, რომ კულტურის წარმომადგენლებმა ამ ძნელბედობის ჟამს ყველაფერი იღონეს რათა, სულიერების ეს დარგი ღირსეულად წარმოჩენილიყო...

✦ თათია თათრიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი — ვიდრე ერთი წლისწინანდელ მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებულ განსაკუთრებულ და საინტერესო ღონისძიებებს გავიხსენებდეთ, მინდა ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყვნენ ჩართული ჩვენი გაერთიანების აქტივისტები. ისინი იყვნენ იქ, სადაც მათი დახმარება აუცილებელი იყო... ჩვენი სპეციალისტები მოხალისეებთან ერთად მოქმედებდნენ და ყველასგან გამოირჩეოდნენ. კარგახანს ემახსოვრებათ ალბათ, ხიდისყურელ, საქადაგიანოს, ფერმისა და მიქელწყაროს აზერბაიჯანულ მოსახლეობას მათ სოფლებში ყოველ დილა-საღამოს გამოჩენილი ავტომანქანა, რომელზედაც დამონტაჟებული იყო ხმოვანი შეტყობინება აზერბაიჯანულ ენაზე “დარჩი სახლში” ...

მონატრებული შეხვედრები: 26 მაისი 2019 წელი

ყოველნაირად ვცდილობდით დავხმარებოდით მიუსაფარ ოჯახებსა და უმწეო მოხუცებს, უფასო სასადილოს ბენეფიციარებისათვის ბინაზე მიგვქონდა სადილი, რასაკვირველია, ეს საზოგადოებრივი დავალება, უფრო სწორად საქველმოქმედო აქცია ამ ეტაპზე დასრულებულია...

არადა, ზუსტად ერთი წლის წინ, შარშან ამ დროს ვინ მოთვლის, რამდენი კულტურული ღონისძიება გაიმართა რაიონში, მაგალითად, ძალიან კარგი გასახსენებელია შარშან, 18 მაისს, კულტურის დარგის მესვეურებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობითა და ძალისხმევით ერთაწმინდაში ჩატარებული ზღაპრული სანახაობა, “ეროვნული სამოსის” დღე, ეს გახლდათ თეატრალიზებული მსვლელობა და სხვათა შორის, ჩვენ გვაქვს საამისო გამოცდილება, დიახ, ანალოგიური, პატრიოტული სულისკვეთების ღონისძიებები ადრე კასპშიც გამართულა და ლამისყანაშიც. ერთაწმინდელები კი, შარშან ძალიან გავანებივრეთ, ეროვნული სამოსის ჩვენების გარდა ღონისძიებაზე ფართო ადგილი ეკავა ნაირ-ნაირ გამოფენებს /მხატვრობა, ნაქსოვები, წნულები, ხელნაკეთი ნივთები/ და ტაძრის ეზოში სპეციალურად მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ფოლკლორისა თუ საესტრადო სიმღერების მუსიკოს-შემსრულებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები.

ერთი წლის წინ, ზუსტად ამ დროს კასპს სტუმრობდნენ ცხინვალის თეატრის მსახიობები, აქაურმა მაყურებელმა ჩვენი კულტურის სახლის სცენაზე ნახა ცხინვალის ვანო მაჩაბელის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი “ალი და ნინო”, კულტურის სახლში შარშანვე ნახა ჩვენმა მაყურებელმა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი “მგზავრის წერილები” და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

მონატრებული შეხვედრები: ეროვნული სამოსის დღე

დაუვიწყარი, მართლაც, რომ შთამბეჭდავი იყო ერთი წლის წინ /12 მაისს/ ქალაქის კულტურ-

დასასრული გვ-9.

მონატრებული შეხვედრები: 26 მაისი 2019 წელი

დიალოგის ფორმატში

ფაქტი ახლო ხედით: თვის დასაწყისი (ივნისის პირველი შაბათი), გუბერნატორის სტუმრობა. შეხვედრა სპორტკომპლექსის ხელმძღვანელებთან, სპორტსმენებსა და მწვრთნელებთან. საუბარი და გაცნობა – დიალოგის ფორმატში, მხარდაჭერა და დაპირებები, შეხვედრის სამომავლო შედეგი – ორმხრივად სასარგებლო, მომგებიანი ორივე მხარისათვის.

მოედნის ერთ მხარეს: 2018 წლის აგვისტოდან შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილია. კასპში აქამდეც ბევრჯერ სწვევია სასპორტო ობიექტებს, შარშანდელ ნოემბერში ახალი საფეხბურთო სტადიონის გახსნაში მონაწილეობდა. მერე, სულ რამდენიმე თვეში, ისე მოხდა, რომ ძველებური ყოფაც და ფეხბურთიც (საერთოდ, დიდი სპორტი) განზე დარჩა, რაკი "კორონა – 19" ლამის ნოკაუტირებულ დარტყმად მოევლინა მსოფლიოს...

სპორტი და სპორტსმენები დაზარალდნენ ყველაზე მეტად, ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრების წესის მიმდევრებს არა თუ სასპორტო შეჯიბრებებში გამოსვლის შანსი წაერთვათ, არამედ მათთვის საერთოდ ჩაიკეტა სპორტდარბაზები და მოედნები.

ამიტომ იყო, რომ კასპში მობრძანებული ახალგაზრდა გუბერნატორი გაცნობისას მასპინძლებს გაენდო, – კარგად მესმის თქვენი ახლანდელი ყოფის სიმძიმე, თვითონაც სპორტიდან მოვდივარ, საერთაშორისო შეჯიბრებებზეც ვყოფილვარო (მეტი აღარ დაუკონკრეტებია, ისე კი, ამის თქმაც საკმარისი იყო, სასპორტო კულისებში ჩახედული კაცის ხედვა სხვაა). მარტო იყო მობრძანებული, გორიდან სხვა თანმხლები პირი არ ჩანდა. ესაც ადასტურებდა, რომ მოვიდა მეგობრული სულისკვეთებით, უფრო კი ახლოს გასაცნობად, მხარდასაჭერად, გასამხნევებლად, მოსასმენად. ცხადია, მოსალოცად: 2017 წლის აპრილიდან, რაც კასპში განახლებული სპორტკომპლექსი ამოქმედდა, აქაურმა სპორტსმენებმა ხომ არაერთ სასახელო გამარჯვებას მიაღწიეს საქართველოს მასშტაბით, თუ ქვეყნის გარეთ.

აი, მთავარი ლაიტმოტივი კი, რამაც ამ შეხვედრის გამართვის აუცილებლობა განაპირობა და მიმდინარეობისას გამოჩნდა იყო სწორედაც ის დაინტერესება, რაც გუბერნატორმა გამოიჩინა კასპელი სპორტსმენების ამჟამინდელი ინდივიდუალური ვარჯიშების მიმდინარეობით, პირადი მონდომებით; პანდემიაშემდგომ პერიოდში გასაახლებელი დიდ-პატარა ასპარეზობებისათვის სამზადისის მიმდინარე ეტაპებზე არსებული ხელშემშლელი მიზეზებით...

სტუმარმა, როგორც საქვეყნო მოწყობის სტრუქტურული შიდა რგოლის ხელმძღვანელმა, სამასპინძლო ჯგუფს მხოლოდ ამის შემდგომ წარმოუდგინა სახელმწიფოებრივი და სახელისუფლებო პოლიტიკური მიდგომის, მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პოზიციური ასპექტები, რაც სადღეისოდ შემუშავებულია ქართული სპორტისა (ზოგადად) და მისი ცალკეული სახეობების (კონკრეტულად) მიმართ.

ასეთ მომენტში, თავის მხრივ, მოისურვა მოსმენა სურვილებისა და შენიშვნებისა, წინადადებებისა და მოსაზრებებისა, ასეთი თუ რამ გააჩნდათ მოქმედ სპორტსმენებსა და გამოცდილ მწვრთნელებს.

სასპორტო მოედნის მეორე მხარეზე: გუბერნატორთან შესახვედრად მოვიდნენ სპორტსმენები, მწვრთნელები.

შეხვედრაზე იყვნენ საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ-პრიზიორები (ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით) და ახალბედა სპორტსმენებიც. მათგან დიალოგის ფორმატი მოირგეს უფრო მწვრთნელებმა, მოქმედმა სპორტსმენებმა კი ამჯერად ნაკლებაქტიურობა ამჯობინეს. როგორც ჩანს, თავგამოჩენა საასპარეზო არენებზე გაცილებით ეადვილებათ.

ძიუდოში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა და კვალიფიციურმა მწვრთნელმა ჯემალ ხორბალაძემ თქვა, რომ აუცილებელია ახლო მომავალში ადგილობრივი მოჭიდავეების საწვრთნელ-მოსამზადებელი ერთიანი შეკრების (ბანაკის) მოწყობა კასპშივე; ასევე, წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები საჭიროებენ მეტ სტიმულირებას.

ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილმა მწვრთნელმა იოსებ მამულაშვილმა (იგი არჩეულია შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად) სტუმარს წარუდგინა შარშანდელი სპორტული სეზონის შედეგებით გამორჩეული შეგირდები და სხვა მოჭიდავეები, მათ შორის 2018 წლის საქართველოს ფალავანი ბექა ბერძენიშვილი. თავისი გამოსვლისას იოსებმა სასიხარულო ინფორმაცია გააჟღერა, – ჩვენი ბექა 4 ივნისს ვაჟის მამა გახდაო! ბოლოს კი საქმიანი ბეჭედიც დასვა, – დახმარება თქვენზე იყოს, გამარჯვებები კი კვლავაც ჩვენ მოგვეკითხოსო!

საანგარიშო ხასიათისა იყო კარატეში ევროპის პრიზიორის, აწ წარმატებული მწვრთნელის ალექსანდრე მანძულაშვილის სიტყვაჩართულობა (მან და მისმა ქალიშვილმა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის 4 მედალი წამოიღეს რუმინეთის დედაქალაქიდან).

სპორტკომპლექსის დირექტორმა, ვეტერანმა მოჭიდავემ გიორგი ნიპარიშვილმა მადლობა გადაუხადა მხარის რწმუნებულს ესოდენ რთულ პერიოდში კასპში სასპორტო ცხოვრებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის. იგი არც საკვანძო საკითხების დასმას მოერიდა (მწვრთნელთა რანგირების მიხედვით

ხელფასის ანაზღაურების აუცილებლობა კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით, სპორტკომპლექსში სასტუმროს დროული ამოქმედების საჭიროება).

რეგიონული სპორტი – დიდი სპორტის მკვებავი წყაროა. ქართულმა სოფლებმა და პატარა ქალაქებმა უამრავი ცნობილი სპორტსმენი აჩუქა სამშობლოს. ასე იყო კასპშიც. ასეა დღესაც. სპორტის ხელშემწყობნი და მეპატრონენი ჩვენში სადღეისოდაც ადგილობრივი, მუნიციპალური თუ რეგიონული რგოლის ხელმძღვანელები არიან, რადგანაც ცხოვრება გვკარნახობს: სპორტი საქვეყნო პოლიტიკაა!

ჩვენი მონათხრობიც მათი წარდგინებით მთავრდება, ვინც სამასპინძლო ჯგუფიდან მონაწილეობდა სივრცულად ღია და ივნისის თაკარა მზისქვეშა გარემოში მოწყობილ, ნამდვილად ორმხრივად სასარგე

დასასრული გვ-10.

ონლაინ რეჟიმი

კორონა ვირუსის არსებობამ ახალი რეალობა შექმნა. ცვლილება შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს. თუმცა, არსებობს სფერო სადაც ვერ დაახანებ მოქმედებას, ვერ შეაჩერებ ზრდის პროცესს, ვერც განვითარებას და სიცოცხლის სიყვარულს აუკრძალავ შვილებს. მშობლების საყვარელი მუსიკის გაკვეთილები ტრადიციულად თუ არა უმეტეს შემთხვევაში მოსაბეზრებელია ბავშვებისათვის. კლასიკური ნაწარმოებების სიყვარული, მათი შესნავლისა თუ მოსმენის კულტურა სწორედ, ბავშვობაში ყალიბდება. რა ხდება ჩვენს რეალობაში, რა ცვლილებები შეიტანა ვირუსის არსებობამ მუსიკალური აღზრდის სფეროში?

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება (დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი) საინტერესო ურთიერთობას არეგულირებს სახელოვნებო სკოლების აღსაზრდელებთან.

უყეთესის მოლოდინში

ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კავთისხევის სამუსიკო სკოლას არსებობის სამი ათეული წლის ისტორია აქვს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, როდესაც სკოლაში შემაჯამებელი კონცერტი იმართება, მარტო სოფელი კი არა, მთელი რაიონი ზეიმობს ხოლმე, ერთად იკრიბებიან სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები და მუსიკის გულშემატკივრები, ხელოვნების ცნობილი სახეები, მაგრამ წელს ასე არ მოხდა, რადგან ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, როგორც ყველგან, აქაც ყველაფერი გადაიდო... არადა, სკოლას მართლაც რომ გამოცდილი და კომპეტენტური კადრი ჰყავს. საფორტეპიანო განყოფილებას უძღვებიან პედაგოგები მაია სებისკვერაძე /ფ-ნო/ და თამარ ბიჭაშვილი /თეორიული საგნები /, სულ კი, საფორტეპიანო განყოფილებაზე ამჟამად ირიცხება 20 მოსწავლე.

— ახალი კორონა ვირუსის გამო ყველაფრის გადადება მოგვიწია, 1999 წლიდან ამ უწყებას ვუძღვები და მსგავს ექსტრაორდინალურ სიტუაციაში არასოდეს ვყოფილვართ, — აცხადებს კავთისხევის სამუსიკო სკოლის დირექტორი მზია ნადირაძე, — რა უნდა გვექნა, არ ვიცოდით, რადგან მოსწავლეთა უმრავლესობას სახლში არა აქვს ინსტრუმენტი და იძულებული გავხდით ასეთ მოსწავლეებთან გვემუშავა ყოველდღიურად სკოლაში, მარტივად რომ გითხრათ, პედაგოგებს

არ ჰქონდათ საშუალება სრულყოფილად ჩაეტარებინათ ონლაინ გაკვეთილები ყველა მოსწავლესთან.

თეორიული საგნების პედაგოგმა თამარ ბიჭაშვილმა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან დროულად მოახერხა და ჩაატარა გაკვეთილები სოლფეჯიოსა და მუსლიტერატურაში... წელს სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილება დაამთავრა სამმა მოსწავლემ, ესენი არიან თინათინ ნოქარიშვილი /პედაგოგი მაია სებისკვერაძე/, ნატალია ნოქარიშვილი /პედაგოგი მაია სებისკვერაძე / და ანი წიკლაური /პედაგოგი მზია ნადირაძე/. სამუსიკო სკოლაში წლებია ფუნქციონირებს და ნაყოფიერ, შემოქმედებით საქმიანობას ეწევა ხატვის წრე. ამ ეტაპზე ხატვის წრეში გაერთიანებულია 55 მოსწავლე, რომელსაც უძღვება პედაგოგი მაკა კაიშაური...

სხვათა შორის, პედაგოგმა მაკა კაიშაურმა შექმნა ჯგუფები /ვისთანაც ეს იყო შესაძლებელი / და პერიოდულად, შეძლებისდაგვარად ატარებდა ონლაინ გაკვეთილებს. თქვენ წარმოიდგინეთ, სწავლების ამ უახლეს მექანიზმს თითქმის ყველა ბავშვი აჰყვა, უფრო მეტიც, ბევრისთვის ონლაინ გაკვეთილი ძალიან სახალისო და მარტივი იყო.

წელს ხატვის წრის სრული კურსი დაამთავრა ორმა მოსწავლემ, ესენი არიან დავით ღვინიაშვილი და ბორის ჭულუხაძე.

მუსიკალურ სკოლელებს მოენატრათ პედაგოგებთან და ამხანაგებთან პირისპირ შეხვედრა. ყველა იმედიანად არის, დარწმუნებული არიან, რომ გაცდენილ დროს აინაზღაურებენ და უფრო წარმატებული იქნება შემდეგი სასწავლო წელი.

სწავლება თამაშ-თამაშით

მოდური გახდა ონლაინ რეჟიმი, თანაც აქტუალური... მარტიდან მოყოლებული კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /30-მდე წრე / ბავშვები კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლას ონლაინ რეჟიმში აგრძელებენ და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

აქტიურობენ ქართული ენისა და ლიტერატურის წრის /ხელმძღვანელი მანანა ყაბანაშვილი/ მოსწავლეები, რომლებიც წლიური გეგმის მიხედვით შედგენილი პროექტების განხორციელებას აგრძელებენ. მეცადინეობის პროცესში ბავშვები იჩენენ ინტერესს, ყველაფერს გულისყურით, პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ერთი სიტყვით, მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის რედაქტირება და არგუმენტირებული ესეების წერა, წაკითხულის გააზრება, მხატვრული ტექსტის ანალიზიც და რასაკვირველია, ეს ყველაფერი ხდება ონლაინ რეჟიმში. ამგვარად, მასწავლებელი მანანა ყაბანაშვილი მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს ბავშვებს, აიყოლიოს ისინი, დაინტერესოს, ამიტომ იგი საკუთარ რითმა-გამოცანებით ამარაგებს მოსწავლეებს და ცხადია, სწავლება ასეთ შემთხვევაში აქტიური

დასასრული გვ-9.

ზემო ხანდაკის სამუსიკო სკოლაში 107 მოსწავლე ირიცხება, აქედან 54 საფორტეპიანო კლასში, ხოლო 53 ხატვის ხელოვნების საფუძვლებს ეუფლება.

შარშან მუსიკალური სკოლა დაამთავრა ხუთმა მოსწავლემ, ხოლო წელს 9 მოსწავლე მიიღებს მუსიკალურსკოლადამთავრებულის საგზურს...

მზრუნველობას არ აკლებენ, ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ ბავშვებს პედაგოგები მანანა ზუბიაშვილი, მაია ქამხაძე და ეთერ ტყემალაძე, რომლებმაც ამ ურთულეს ვითარებაშიც /პანდემიის დროს/ მოახერხეს, გამჭრიახობა გამოიჩინეს და ორგანიზებულად, შეუფერხებლად წარმართეს სწავლების ახლებური მეთოდი ონლაინ რეჟიმი.

თქვენ წარმოიდგინეთ, ონლაინ გაკვეთილები თითქმის ყოველდღიურად ტარდებოდა. მოკლედ, ყველა პედაგოგი თავის მოსწავლესთან ატარებდა მეცადინეობას, იმის მიხედვით, თუ რომელ მოსწავლეს მეცადინეობისათვის, რა პირობები და საშუალებები ჰქონდა შინ. შესაბამისად იღებდნენ დავალებებს.

შეხვედრები დიდ კომპოზიტორებთან

— საგულისხმო გახლავთ გარემება, რომ ის დავალებები, რომლებიც ბავშვებს ჰქონდათ მიღებული მეორე სემესტრის დასაწყისში, პედაგოგების დიდი ძალისხმევითა და დახმარებით სრულფასოვნად და პასუხისმგებლობით შესრულდა, - განმარტავს ზემო ხანდაკის მუსიკალური სკოლის დირექტორი ლეილა გოგიბედაშვილი, — უფრო გასაგები რომ იყოს, სწორედ პედაგოგების მცდელობით მოხდა ბავშვებისთვის მიცემული მუსიკალური ნაწარმოებების დამუშავება, მოსმენა-შესწორება, ხოლო ბოლო ეტაპი გახლდათ — ჩათვლები, რომელსაც მოსწავლეებმა წარმატებით გაართვეს თავი.

ძალიან საინტერესო, შინაარსიანი იყო ონლაინ გაკვეთილი მუსლიტერატურაში, რომელიც საგულდაგულოდ დაიგეგმა და ამჯერად ბეთჰოვენის იუბილეს მიეძღვნა.

მეექვსე და მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა პედაგოგ ნინო ძებისაშვილის ხელშეწყობითა და ინტერნეტის გამოყენებით საფუძვლიანად შეისწავლეს და დაამუშავეს ბეთჰოვენის მოღვაწეობა და შემოქმედება...

მერე პედაგოგმა ნინო ძებისაშვილმა ჯგუფური მეცადინეობის მეთოდი მოიშველია და სოლფეჯიოში, პროგრამის მიხედვით ყველა კლასში ჩაატარა ონლაინ გაკვეთილები.

ტრადიციულად შემოქმედებითად მიუდგა საქმეს, ყველაფერი გაითვალისწინა და ისე დაგეგმა ონლაინ მეცადინეობა ხატვის წრის მასწავლებელმა თამარ კელაპტრიშვილმა, რომელმაც ბავშვებს მისცა სრული თავისუფლება, მისივე თქმით ეს იყო ბავშვების ერთგვარი, პატარა გამოცდაც, სურვილი და მისწრაფება, ამიტომაც იყო რომ ზოგი გაზაფხულ-ზაფხულის პეიზაჟს, ხატავდა, ბევრმა მოსწავლემ ნატურმორტი აირჩია, ხოლო მასწავლებელი თითოეულ ნამუშევარს საგულდაგულოდ ამოწმებდა და აფასებდა, მორიგ დავალებას აძლევდა.

სწავლება თამაშ-თამაშით

დასასრული.

და შინაარსიანი ხდება, რადგან გამოცანები, ანდაზები ძალიან მოსწონთ მოსწავლეებს...

საინტერესო, შინაარსიანი იყო "კითხვის" წრის /ხელმძღვანელი ჟუჟუნა მამულაშვილი/ წევრების მეცადინეობები. ბავშვებმა წაიკითხეს რჩეული საბავშვო მოთხრობები, ყველაზე მეტად დაინტერესდნენ იაკობ გოგებაშვილის პატარა მოთხრობებით: "თავნება თაგვი", "დაკარგული ბავშვი", "მელიას კუდი მოწმედ", "ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს" და კიდევ სხვა ნაწარმოებები, მოკლედ, ეს მეცადინეობები მოსწავლეებმა ერთგვარ სანახაობად და პატარ-პატარა სპექტაკლებად გადააქციეს.

— ეს ეგრეთ წოდებული ონლაინ რეჟიმი ანუ სწავლება თამაშ-თამაშით გვინდა არ გვინდა უნდა მოვირგოთ, — აცხადებს მოსწავლეახალგაზრდობის სახლის დირექტორი ლელა პეტრიაშვილი, — ამ ეტაპზე ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტი პროგნოზირება, თუ როდემდე გაგრძელდება ეს პროცესი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, არ უნდა შევჩერდეთ, მოგვიწევს სრული მობილიზება, ორგანიზებულობა, რათა მოსწავლეებმა გამოიჩინონ სიფხიზლე, მონდომება და მიზანდასახულობა, წრის ხელმძღვანელები კი უნდა დაეხმარონ ბავშვებს კრეატიულობისა და მოტივაციის გამოვლენაში.

სწორედ ამ სულისკვეთებით, იმედიანი განწყობით მეცადინეობენ კოვიდთან ბრძოლის პირობებში მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ მოსწავლეები, რომლებმაც არც ერთი ღირსშესანიშნავი თარიღი არ გამოტოვეს და თავისებურად აღნიშნეს ქართული ენისა და დედის დღე, 26 მაისის დღესასწაული, ბავშვთა დაცვის დღე...

ონლაინ გაკვეთილებს ატარებდნენ საესტრადო სიმღერების შემსწავლელი წრის /ხელმძღვანელი ნინო ქენქაძე/ მოსწავლეები, საგალობლები კიდევ უფრო დახვეწეს და შეისწავლეს გალობის წრის /ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი/ წევრებმა, თვეების განმავლობაში აქტიურად მეცადინეობდნენ "დიზაინის" წრის /ხელმძღვანელი რუსუდან ბარნოვი/ ბავშვები, რომლებიც კარგად გაიწაფნენ ხის დეკორაციების მოხატვაში, ლამაზი სამკაულების დამზადებაში.

ამასობაში სასწავლო წელიც მიიწურა, ონლაინ გაკვეთილები ისევ არ ცხრება, მაგრამ მოსწავლეებს ენატრებათ პირისპირ შეხვედრა...

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

გვაქვს საფუძვლიანი გარანტია

მიდიდარი ტრადიციების, რეგიონში საკმაოდ ცნობილი და წარმატებული კასპის საფეხბურთო სკოლა იმედიანი განწყობით იყო, მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც ჩვენს ქალაქში ახალი, კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სტადიონი გაიხსნა და დაიგეგმა კიდეც უამრავი სპორტული ღონისძიება, ეს იქნებოდა რაიონული, რეგიონული თუ რესპუბლიკური, მაგრამ მოგეხსენებათ ქვეყანაში შექმნილი (პანდემიის გამო) უმწვავესი ვითარების, პირობებში ეს ყველაფერი შეჩერდა, გადაიდო...

მოკლედ, მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლებში გაწვრილებულ მოზარდებსა და ახალგაზრდებს, ფეხბურთის ფანატებს, გიყვარდეს, კასპში ევროპული ტიპის საფეხბურთო არენა კი ეგულებათ მაგრამ, ამჯერად, ეს ფუფუნება დროებით "აკრძალული ხილია", თუმცა, გამოცდილი მწვრთნელები: შავლეგ მაჭარაშვილი, გიორგი ილურიძე, მალხაზ და ზაზა ჯალალები, ზურაბ ბეჟიტაშვილი, რომელთა გუნდებმა შარშან გამართულ რეგიონულ თუ რესპუბლიკურ ტურნირებში კარგ შედეგებს მიაღწიეს, იმედს არ კარგავენ, პერიოდულად, დღემონაცვლეობით უკავშირდებიან ბიჭებს /ონლაინ რეჟიმში, ხანტელეფონითაც/ და აძლევენ მათ სათანადო მითითებებს, რჩევა-დარიგებას, ინტენსიურად მოუწოდებენ, რომ არ შეწყვიტონ ვარჯიში.

— ოთხთვეზე მეტია, ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით დროებით შეჩერებულია საწვრთნელი ვარჯიშები, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, — მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რადგან წინა წლებიდან გამომდინარე გვაქვს საფუძვლიანი გარანტია იმისა, რომ კასპის საფეხბურთო სკოლა მიღწეულ სპორტულ შედეგებს შეინარჩუნებს. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ მიღწევებზე ვრცლად ისაუბრა კასპში სტუმრობისას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ბატონმა გიორგი ხოჯევანიშვილმა, შეაქო კასპელი ფეხბურთელები და სერიოზულ მხარდაჭერასა და თანადგომას შეჰპირდა.

ჩვენმა გულშემატკივრებმა მინდა ისიც იცოდნენ, რომ ჩვენს ქალაქში არსებულმა საუკეთესო საფეხბურთო პირობებმა მოზარდებში დაინტერესება გაზარდა, საფეხბურთო სკოლის 200 მოსწავლის რაოდენობა ახლა უკვე 400-მდე გაიზარდა.

"მწვანე მინდორს" მონატრებული, შინ დარჩენილი ბიჭები მოუთმენლად ელოდებიან საცნებო სტადიონზე დაბრუნებას, გააგრძელებენ სრულფასოვან ვარჯიშს და მოხერხებულობით, სპორტული ჟინით ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ რეგიონულ, რესპუბლიკურ საფეხბურთო გუნდებში მოასპარეზე სპორტსმენებს.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება

საზოგადოებრივი აქტიურობის დრო და მონატრებული შეხვედრები

დასასრული.

ის სახლში გამართული ფოლკლორული სოლო კონცერტი "ანჩისხატი", ეს კულტურული ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღეს...

კულტურის მუშაკთა ხელშეწყობითა და აქტიურობით სამთავისში შარშანაც გაიმართა სიმღერისა და გალობის ტრადიციული ფესტივალი "ქართლი"...

ეს მხოლოდ უმცირესი ჩამონათვალია იმ ღონისძიებებისა, რომლებიც არ ავიწყდება აქაურ საზოგადოებას, მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს. რა დასანანია, რომ წელს, ისევ და ისევ გასაგები მიზეზების გამო ჩვენი ქალაქის მოსახლეობამ პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის დღეს ვერ იხილა ტრადიციული დღესასწაული, რომელსაც მოუთმენლად ელოდება ხოლმე დიდ-პატარა.

სამოთხთვიანი, იძულებითი პაუზის შემდეგ დანამდვილებით ახლაც არავინ იცის, თუ როდის შეივსება ის დანაკლისი, რომელსაც მრავალფეროვნების, ჰარმონიისა და შინაგანი განწყობის შესაქმნელად ადამიანს ავსებს ხოლმე კულტურული, შემოქმედებითი წიაღი... მაგრამ, ერთი რამ ცხადია, ეს არ არის აქილევსის ქუსლი, რადგან უახლოეს ხანში ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება გარე სამყარო, ბუნებრივია, ჩვენი კულტურაც.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

12 ივლისი – პეტრე-პავლობა

მათ თავმოციქულებად მოიხსენიებენ

დასასრული. დასაწყისი გვ-4.

შესძინა საქრისტიანოს, მათ შორის მომავალი დიდი ღვთისმეტყველი დიონისე არეოპაგელი.

როდესაც მესამე მისიონერული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა პავლე მოციქული კესარიაში შეხვდა აგაბო წინასწარმეტყველს, რომელმაც აიღო პავლეს სარტყელი, შეიკრა ხელნი და ფერხნი და სთქვა: "ამას იტყვის სული წმიდა: კაცი, რომლისა არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსალიემს" (საქმე 21.11) (კონდაკი 11).

ამით აგაბომ ბორკილები უწინასწარმეტყველა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტარებინა.

იერუსალიმში დაბრუნებისას პავლე მოციქული შეიპყრეს და როგორც რომის მოქალაქე კეისრის სამსჯავროზე გაგზავნეს.



რომში წმ. პავლე პეტრე მოციქულს შეეწეოდა მოქალაქეთა ქრისტიანულ განათლებაში. ერთ-ერთი გადმოცემით მან მოაქცია იმპერატორის მეღვინეთუხუცესი, რისთვისაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. წმინდა მოციქულმა სიცოცხლე თავისკვეთით დაასრულა.

ზოგიერთი მოწმობით პეტრე და პავლე მოციქულები ერთ დღეს აღესრულნენ მოწამეობრივად, სხვა გადმოცემით - პავლეს სრული ერთი წლის შემდეგ მოკვეთეს მახვილით თავი პეტრეს ჯვარცმის შემდგომ.

წმ. მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა რომსა და კონსტანტინეპოლში აღმართა ტაძრები წმ. თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელზე.

მათ შემდეგ ოცი საუკუნე გავიდა ... შეგეწიოთ თავმოციქულები პეტრე და პავლე!

იკითხეთ გაზეთი "ახალი განთიადი"

დიალოგის ფორმატში

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ7.

ბლო და საინტერესო შეხვედრაში: მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ტატანაშვილი და მისი მოადგილე ზაზა მარიდაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე.

შეხვედრის შემდეგ მონაწილენი ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ, კმაყოფილებას გამოხატავდნენ. აღინიშნა, რომ საჭირბოროტო საკითხები, როგორიცაა სასტუმროსა და კვების ბლოკის ამოქმედება, აგრეთვე მწვრთნელთა ხელფასების გაზრდა და წარმატებული სპორტსმენების ფულადი ჯილდოების საკითხი, ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდება.

კასპის სპორტ-კომპლექსი.

საერთაშორისო ონლაინ-ფესტივალი -2020

პირველი ადგილის მფლობელი ,,დიდგორი,,

კულტურისა და ხელოვნების განვითარების კავშირი "არტ-ფოლკის" და კულტურის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა ცეკვისა და სიმღერის საერთაშორისო ონლაინ-ფესტივალი – 2020 (დირექტორი მურმან გაბისონია), რომელშიც მონაწილეობდნენ უკრაინის, თბილისის, ფოთის, ზუგდიდის და კასპის ქორეოგრაფიული ანსამბლები. ფესტივალის მხარდამჭერი ორგანიზაციები იყვნენ იუნესკოს ცეკვის საერთაშორისო საბჭო და ევროპის ფოლკლორული ფესტივალების ასოციაცია... ამ პრესტიჟულ ფესტივალზე მიწვეულ ქორეოგრაფიულ კოლექტივებს შორის ღირსეულად გამოჩნდა კასპის მუნიციპალიტეტის ცეკვის აკადემია "დიდგორი" /ქორეოგრაფები მარინა რუსიშვილი და დარინა პაპაშვილი/, რომელსაც საუცხოო გამოსვლა ჰქონდა, წარადგინა სამი ცეკვა/ "ოსური", "ჯუთა" და "ქალთა ხორუმი"/. ქართული ცეკვის სპეციალისტებმა, ფესტივალის ჟიურიმ ანსამბლს მიანიჭა პირველი ადგილი.

– კიდევ ერთხელ გვასახელეს ჩვენმა მოცეკვავეებმა, ონლაინ-ფესტივალზე პირველი ადგილი დავიკავეთ, ეს არ გახლავთ მარტო "დიდგორის" წარმატება, – აცხადებს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, – მინდა მადლობა გადავუხადო ყველა თაობის დიდგორელს და მათ მშობლებს, კასპელებს, განსაკუთრებით კი, ემიგრანტებს, რომლებიც საერთაშორისო სატელევიზიო ქორეოგრაფიულ კონკურსში გულმხურვალედ ამხნევებდნენ და მხარს უჭერდნენ "დიდგორს".

,,ახალი გვნთივლი,, იძიებს ცვინტერესოთ ცოტისთებს რეალურად ცვაგზეთთ თოტომასტანაბს შეცვაქმნელოვლ. თხოვნით მიგმვრთვთ თანგრთვალონელებს - ლასტოვეთ თქვენი ყვლი ჩვენს მასტანაში! გვმოგვიგზავნეთ ცვინტერესო თოტოები!

,,კუხურას,, ცხელი ზაფხულის ქრონიკაში

გვმოიწერეთ გაზეთი ,,ახალი გვნთივლი,,!
გაგლითთ ჩვენი მკითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76